სატელეფონო გამოკითხვა დეზინფორმაციის და მედიის მოხმარების შესახებ

გამარჯობა, გირეკავთ კვლევითი ორგანიზაციიდან **CRRC**-საქართველო. ეს არის დამოუკიდებელი, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.

თქვენი ტელეფონი შემთხვევითი წესითაა გენერირებული. თქვენი მოსაზრება ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა პასუხის ანონიმურობა სრულად იქნება უზრუნველყოფილი. გთხოვთ, დამითმოთ **15** წუთი და უპასუხოთ ჩემს კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

გსურთ თუ არა კვლევაში მონაწილეობის მიღება?

დიახ	1
არა	0

დემოგრაფია

1. ასაკი
2. სქესი
3. რეგიონი
4. დასახლების ტიპი

5. საქართველოში მრავალი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობს. თქვენ რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნებთ თავს?

*[**ინტერვიუერს**! არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]*

ქართველი	1
სომეხი	2
აზერბაიჯანელი	3
სხვა	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

6. რომელია თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური? *[**ინტერვიუერს**! არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]*

არ მიმიღია ცხრა წლის დასრულების ატესტატი	1
მაქვს ცხრა წლის დასრულების ატესტატი	2
საშუალო სკოლის ატესტატი (11 ან 12 წელი)	3

პროფესიული/ტექნიკური განათლების დიპლომი	4
ბაკალავრის ხარისხი ან 5-წლიანი დიპლომი	5
ნებისმიერი ხარისხი ბაკალავრის ზევით	6
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

7. **როგორია თქვენი დასაქმების მდგომარეობა?**
*[**ინტერვიუერს**! წაუკითხეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]*

ვარ პენსიონერი და არ ვმუშაობ	1
ვარ სტუდენტი და არ ვმუშაობ	2
ვარ დიასახლისი და არ ვმუშაობ	3
ვარ უმუშევარი	4
ვმუშაობ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე საჯარო სექტორში (მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა/ სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	5
ვმუშაობ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე კერძო სექტორში (მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	6
ვარ თვითდასაქმებული (მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	7
ვარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მუშაობა არ შემიძლია	8
სხვა	9
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

8. **რომელ ჯგუფში ექცევა თქვენი ოჯახის საერთო თვიური შემოსავალი, ანუ თქვენი ოჯახის ყველა წევრის მიერ ხელზე აღებული შემოსავალი, საშემოსავლო და სხვა გადასახადების დაქვითვის შემდეგ, მათ შორის პენსიები და სოციალური დახმარება?**
*[**ინტერვიუერს!** წაუკითხეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]*

2000 ლარზე ნაკლები	1
2000 ლარი ან მეტი	2
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

9. **გასულ წელს, განსაკუთრებული ღონისძიებების გარდა, როგორებიცაა ქორწინება ან გასვენება, რამდენად ხშირად ესწრებოდით რელიგიურ მსახურებას?**

*[**ინტერვიუერს!** წაუკითხეთ! მხოლოდ ერთი პასუხი.]*

კვირაში ერთხელ მაინც	1
თვეში ერთხელ მაინც	2
მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებზე	3
უფრო იშვიათად	4
არასდროს	5
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

მედიის მოხმარების ჩვევები

10. **რამდენად ხშირად ადევნებთ თვალს ახალ ამბებს? ახალ ამბებში ვგულისხმობთ ნებისმიერი სახის სიახლეს, მათ შორის სპორტზე, ამინდზე, პოლიტიკაზე, მიმდინარე საკითხებზე ან ნებისმიერ სხვა თემაზე, რომელიც შეიძლება მიიღოთ ბეჭდური მედიის, ტელევიზიის, რადიოს თუ სოციალური ქსელების მეშვეობით.**

*[**ინტერვიუერს!** წაუკითხეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]*

დღეში ერთხელ მაინც	1	
ყოველ ორ-სამ დღეში ერთხელ	2	
კვირაში ერთხელ მაინც	3	
უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში ერთხელ	4	
არასდროს	5	გადასვლა მე-7 კითხვაზე
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

11. **ახალ ამბებს, ძირითადად, რომელი ტელეარხის საშუალებით ეცნობით? იგულისხმება ახალი ამბების გაგება როგორც ტელევიზიით, ასევე - ინტერნეტით, სოციალურ ქსელებში, ან - იუთუბზე.**

*[**ინტერვიუერს!** არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ. შეგიძლიათ მონიშნოთ მაქსიმუმ სამი პასუხი.] **[პროგრამირების ინსტრუქცია:** ჩამონათვალის როტაცია]*

იმედი	1
მთავარი არხი	2
ფორმულა	3
კავკასია	4
რუსთავი 2	5
პირველი არხი (საზოგადოებრივი მაუწყებელი)	6
მაესტრო	7
აჭარის ტელევიზია	8
ობიექტივი	9
პალიტრა TV	10
TV პირველი	11
ევრონიუსი	12
პოსტივი (PosTV)	13
ალტ-ინფო	14
სხვა	15
არ ვუყურებ საინფორმაციო გამოშვებებს არც ტელევიზიით და არც ინტერნეტში	*-5*
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

11**A.** ენდობით თუ არა თქვენ მიერ დასახელებულ ტელეარხს?
[თუ ასახელებს ერთ რომელიმე ტელეარხს]
*[**ინტერვიუერს!** წაუკითხეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]*

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

11B. **იმ ტელეარხებიდან, რომელთა საშუალებითაც ეცნობით ახალ ამბებს, ყველაზე მეტად რომელს ენდობით?**

*[**ინტერვიუერს!** მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი]* ***[თუ ასახელებს ორ ან მეტ ტელეარხს]***

იმედი	1
მთავარი არხი	2
ფორმულა	3
კავკასია	4
რუსთავი 2	5
პირველი არხი (საზოგადოებრივი მაუწყებელი)	6
მაესტრო	7
აჭარის ტელევიზია	8
ობიექტივი	9
პალიტრა TV	10
TV პირველი	11
ევრონიუსი	12
პოსტივი (PosTV)	13
ალტ-ინფო	14
არცერთს	*-1*

12. **როდესაც საქმე ეხება სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს, ვის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ენდობით ყველაზე მეტად?**

*[**ინტერვიუერს**: წაუკითხეთ. მონიშნეთ მაქსიმუმ 3 პასუხი.] [**პროგრამირების ინსტრუქცია**: ჩამონათვალის რანდომიზაცია]*

ოჯახის წევრები / ნათესავები / მეგობრები / თანამშრომლები	1
რელიგიური ლიდერები / ეკლესია	2
ხელისუფლების წარმომადგენლები	3
ოპოზიციის წარმომადგენლები	4
ცნობილი ადამიანები / ინფლუენსერები	5
სხვა (მიუთითეთ)	6
არცერთ წყაროს არ ვენდობი	-5
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

14. **საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან, რომელი დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? ქართული ოცნება თუ სხვა ნებისმიერი პარტია ქართული ოცნების გარდა?**

*[**ინტერვიუერს**: არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ. მონიშნეთ მაქსიმუმ 3 პასუხი.]*

"ქართული ოცნება"	1
სხვა ნებისმიერი პარტია (გარდა "ქართული ოცნებისა")	2
არცერთი	*-3*
(არ ვიცი)	*-2*
(უარი პასუხზე)	*-1*

ინფორმაციის გადამოწმების ჩვევები

15. **რამდენად ხშირად გაგჩენიათ ეჭვი, რომ ახალი ამბავი, რომელსაც ეცნობით, მცდარია/არასწორია?**

*[**ინტერვიუერს!** წაუკითხეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]*

არასდროს	1	გადასვლა მე-17 კითხვაზე
იშვიათად	2	
ხშირად	3	
ყოველთვის	4	
(არ ვიცი)	*-1*	
(უარი პასუხზე)	*-2*	

16. **რამდენად ხშირად გადაგიმოწმებიათ მცდარი/არასწორი ახალი ამბების სიზუსტე?**

*[**ინტერვიუერს!** წაუკითხეთ! მხოლოდ ერთი პასუხი.]*

არასდროს	1
იშვიათად	2
ხშირად	3
ყოველთვის	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

მცდარი/არასწორი ინფორმაციის ამოცნობაში დარწმუნებულობა (თვითშეფასება)

17. **როგორ ფიქრობთ, რამდენად შეგიძლიათ მედიაში (მაგ; სოციალურ ქსელში, ტელევიზიაში) გავრცელებული მცდარი/არასწორი ინფორმაციის ნამდვილი/სწორი ინფორმაციისაგან გამორჩევა?**

ძალიან ცუდად	1
უფრო ცუდად, ვიდრე კარგად	2
უფრო კარგად, ვიდრე ცუდად	3
ძალიან კარგად	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

ლოგიკური მსჯელობის/დათვლის უნარები

ახლა რამდენიმე სახალისო კითხვას დაგისვამთ ფინანსების მართვასთან დაკავშირებით

18. **წარმოიდგინეთ, რომ ბანკში შემნახველ ანგარიშზე გაქვთ 100 ლარი, რომლსაც წელიწადში 2% ემატება. თქვენი აზრით, ხუთი წლის შემდეგ თქვენ გექნებოდათ ...**

*[**ინტერვიუერს**! წაუკითხეთ.]*

102 ლარზე მეტი,	1
ზუსტად 102 ლარი,	2
თუ 102 ლარზე ნაკლები?	3
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

19. **წარმოიდგინეთ, რომ ბანკში შემნახველ ანგარიშზე შეიტანეთ ფული, რომლსაც წელიწადში 1% ემატება, ხოლო ფასები წელიწადში 2%-ით იზრდება. ერთი წლის შემდეგ, იყიდდით ...**

*[**ინტერვიუერს**: წაუკითხეთ.]*

ახლანდელზე მეტს,	1
ზუსტად იმდენივეს,	2
თუ ახლანდელზე ნაკლებს?	3
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

ავტორიტარიზმი

20. **არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ მმართველობის რომელი ფორმა არის ყველაზე შესაფერისი საქართველოსთვის. ჩამოთვლილთაგან, ყველაზე მეტად თქვენ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით?**

*[**ინტერვიუერს**: წაუკითხეთ.]*

დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია	1
ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული	2
ჩვეულებრივი მოქალაქისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი პოლიტიკური წყობა გვექნება	3
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

21. **რომელ დებულებას ეთანხმებით უფრო მეტად?**

მთავრობამ უნდა აკონტროლოს მცდარი/არასწორი ინფორმაციის გავრცელება მაშინაც კი, თუ ეს ზღუდავს მოქალაქეების სიტყვის თავისუფლებას, თუ...	1
მთავრობამ უნდა დაიცვას მოქალაქეების სიტყვის თავისუფლება მაშინაც კი, თუ ეს იწვევს მცდარი/არასწორი ინფორმაციის გავრცელებას.	2
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

22. **რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ "ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდება ლიდერი, რომელიც ერთპიროვნულად გადაწყვეტს, რა არის ქვეყნისთვის უკეთესი"?**

*[**ინტერვიუერს**: წაუკითხეთ.]*

სრულად ვეთანხმები	1
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	2

უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	3
საერთოდ არ ვეთანხმები	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

23. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას: „თუ გვინდა, წესრიგი შევინარჩუნოთ, კანონის დამრღვევი პირების მიმართ უფრო მკაცრად უნდა ვიმოქმედოთ, ვიდრე ახლა ვმოქმედებთ“ ?

*[**ინტერვიუერს**: წაუკითხეთ.]*

სრულად ვეთანხმები	1
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	2
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	3
საერთოდ არ ვეთანხმები	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

“შიშის ექსპერიმენტი”

სულ 5 ჯგუფი. მათგან: 4 ექსპერიმენტული ჯგუფი (2 მიგრაციის და 2 ოჯახური ღირებულებების შესახებ) + ერთი საკონტროლო ჯგუფი, რომელსაც სცენარი არ მიეწოდებათ და მხოლოდ Outcome კითხვები დაესმით.

1. მხოლოდ შიში - მიგრაცია	2. შიში + კორექცია - მიგრაცია
ახლა წაგიკითხავთ მოკლე ინფორმაციას. სოციალურ ქსელებში ამტკიცებენ, რომ თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი და ქართველებს თავისუფლად შეეძლებათ ევროპაში დასაქმება, ეს გამოიწვევს ახალგაზრდების მასობრივ მიგრაციას და ქვეყანა ახალგაზრდებისგან დაიცლება.	ახლა წაგიკითხავთ მოკლე ინფორმაციას. სოციალურ ქსელებში ამტკიცებენ, რომ თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი და ქართველებს თავისუფლად შეეძლებათ ევროპაში დასაქმება, ეს ახალგაზრდების მასობრივ მიგრაციას გამოიწვევს და ქვეყანა ახალგაზრდებისგან დაიცლება. თუმცა, ფაქტები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება აუმჯობესებს

	ქვეყნის ეკონომიკურ პირობებს, რაც, ამცირებს ახალგაზრდების მიგრაციას.

3. მხოლოდ შიში - ოჯახური ღირებულებები	4. შიში+კორექცია - ოჯახური ღირებულებები
ახლა წაგიკითხავთ მოკლე ინფორმაციას. სოციალურ ქსელებში ამტკიცებენ, რომ თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, ეს გამოიწვევს ოჯახთან დაკავშირებული კანონების შეცვლას და ქალის და კაცის ტრადიციული როლების გაუფასურებას.	ახლა წაგიკითხავთ მოკლე ინფორმაციას. სოციალურ ქსელებში ამტკიცებენ, რომ თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, ეს გამოიწვევს ოჯახურ ღირებულებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეცვლას და ქალის და კაცის ტრადიციული როლების დაკნინებას. თუმცა, ფაქტები ამტკიცებენ, რომ ეს ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება და ოჯახთან დაკავშირებულ კანონებს ყველა ქვეყანა დამოუკიდებლად იღებს.

exp1. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება საფრთხეს შეუქმნის ოჯახურ ტრადიციებსა და ღირებულებებს?

[**ინტერვიუერს**: წაუკითხეთ.]

[საკონტროლო ჯგუფი, მე-3 და მე-4 სცენარის ჯგუფები]

საერთოდ არ არის მოსალოდნელი	1
ნაკლებად მოსალოდნელია	2
მეტად მოსალოდნელია	3
სრულიად მოსალოდნელია	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

exp2. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მასობრივ მიგრაციას?

[**ინტერვიუერს**: წაუკითხეთ.]

[საკონტროლო ჯგუფი, 1-ლი და მე-2 სცენარის ჯგუფები]

საერთოდ არ არის მოსალოდნელი	1

ნაკლებად მოსალოდნელია	2
მეტად მოსალოდნელია	3
სრულიად მოსალოდნელია	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

exp3. რამდენად უჭერთ ან არ უჭერთ მხარს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში?
[**ინტერვიუერს**: წაუკითხეთ.]
[ხუთივე ჯგუფი]

საერთოდ არ ვუჭერ მხარს	1
უფრო მეტად არ ვუჭერ მხარს, ვიდრე ვუჭერ	2
უფრო მეტად ვუჭერ მხარს, ვიდრე არ ვუჭერ	3
სრულად ვუჭერ მხარს	4
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

პოლიტიკური ინფორმირებულობა/ცოდნა

24. ახლა წაგიკითხავთ რამდენიმე დებულებას და, გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად შეესაბამება ან არ შეესაბამება ისინი სიმართლეს?
*[**პროგრამირების ინსტრუქცია:** დებულებების როტაცია]*

		შეესაბამება	არ შეესაბამება	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
<u>სწორია (pro-GD)</u>	24.1 2024 წელს საქართველოში საგარეო ვაჭრობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა.	1	2	*-1*	*-2*
<u>სწორია (anti-GD)</u>	24.2 2024 წელს ევროკავშირმა საქართველოს მნიშვნელოვანი რაოდენობის დახმარება შეუჩერა.	1	2	*-1*	*-2*

<u>მცდარია (pro-GD)</u>	24.3 2025 წლის ევროკავშირის გაფართოების ანგარიშის მიხედვით, საქართველომ უკრაინასა და მოლდოვასთან შედარებით უკეთესი შეფასება მიიღო.	1	2	*-1*	*-2*
<u>მცდარია (anti-GD)</u>	24.4 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატის სტატუსი ჩამოართვა.	1	2	*-1*	*-2*

ანტი-დასავლური ნარატივების მიმართ დამოკიდებულება/რწმენა

25. ახლა წაგიკითხავთ კიდევ რამდენიმე დებულებას და, გთხოვთ, ამ შემთხვევაშიც შეაფასოთ, რამდენად შეესაბამება ან არ შეესაბამება ისინი სიმართლეს?

*[**პროგრამირების ინსტრუქცია:** დებულებების როტაცია]*

		შეესაბამება	არ შეესაბამება	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
<u>ANTI-EU</u>	25.1 ევროკავშირს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა აქვს განზრახული.	1	2	*-1*	*-2*
<u>ANTI-EU</u>	25.2 ევროკავშირი საქართველოს თავს ახვევს ლგბტ პროპაგანდას	1	2	*-1*	*-2*
<u>ANTI-EU</u>	25.3 ევროკავშირი უპირისპირდება ქართულ ტრადიციულ ფასეულობებს და ეკლესიას	1	2	*-1*	*-2*

PRO-EU	25.4 რადგან ევროკავშირში კორუფცია თითქმის არ არსებობს, ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, კორუფცია საქართველოშიც აღმოიფხვრება.	1	2	*-1*	*-2*
PRO-EU	25.5 ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველოში ხელფასები მყისიერად გაუთანაბრდება ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში არსებულ ხელფასებს.	1	2	*-1*	*-2*
PRO-EU	25.6 ევროკავშირში გაწევრიანება ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებას.	1	2	*-1*	*-2*

დამატებითი ბლოკი საკანონმდებლო ცვლილებებზე

ახლა დაგისვამთ შეკითხვებს მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.
26. ქართულმა ოცნებამ ახლახანს შეიმუშავა განათლების რეფორმა, რომლის თანახმადაც, მეთორმეტე კლასის გავლა სავალდებულო აღარ იქნება. უჭერთ თუ არ უჭერთ მხარს ამ ინიციატივას?

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

27. სავალდებულო მეთორმეტე კლასის გაუქმებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. გთხოვთ, მითხრათ, ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს
[პროგრამირების ინსტრუქცია: დებულებების რანდომიზაცია]

	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
27.1. სავალდებულო მეთორმეტე კლასის გაუქმება ხელს შეუშლის სკოლის შემდგომ დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებას	1	0	*-1*	*-2*
27.2. სავალდებულო მეთორმეტე კლასი მაინც არაფრის მომცემია, რადგან მოსწავლეები სკოლაში არ დადიან და მისი გაუქმებით მოსწავლეები წელს არ დაკარგავენ	1	0	*-1*	*-2*

28. ახლახანს ქართულმა ოცნებამ დააინიცირა კანონი, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქე ემიგრანტებს არჩევნებში ხმის მიცემა საზღვარგარეთ არ შეეძლებათ. უჭერთ თუ არ უჭერთ მხარს ამ ინიციატივას?

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

არასრულწლოვნები

29. ქართული ოცნება მუშაობს არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე, რომლის თანახმადაც, **10**-დან **14** წლამდე ასაკის მოზარდები, რომლებიც კანონს დაარღვევენ, შეიძლება მოხვდნენ სპეციალურად შექმნილ სახლებში, რომლის ნებაყოფლობით დატოვებაც არ შეეძლებათ. უჭერთ თუ არ უჭერთ მხარს ამ ინიციატივას?

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	*-1*
(უარი პასუხზე)	*-2*

30. **სპეციალურად შექმნილ სახლებში კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების განთავსებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. გთხოვთ, მითხრათ ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით ამ მოსაზრებებს?**

[პროგრამირების ინსტრუქცია: *დებულებების რანდომიზაცია]*

	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
30.1. ეს ცუდ გავლენას მოახდენს მოზარდების განვითარებაზე	1	0	*-1*	*-2*
30.2. ეს შეამცირებს მომავალში მოზარდების მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის ალბათობას	1	0	*-1*	*-2*